



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბამელიძე ივანე დავითის ძე



ი. აბამელიძე

აბამელიძე ივანე დავითის ძე (1820, სანქტ-პეტერბურგი, რუსეთი, - 14. VIII. 1879, თბილისი, დაკრძალულია ბაქოში), რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1866), გენერალ-ადიუტანტი (1878). (1788 წ. 29. 03. მეფე ერეკლემ მის წინაპრებს უბოძა თავადობა). რუსეთ-ოსმალეთის ომის (1877-78) მონაწილე. მეხთულის სახანოს (1850-იდან), დარღის ოლქის (1853-იდან), შუა დაღესტნის (1860-იდან) მმართველი; 1877-იდან - 21-ე ქვეითი დივიზიის მეთაური, 1877-79 - თბილისისა და ერევნის გუბერნიების ჯარების სარდალი. 1878-იდან - კავკასიის მე-2 კორპუსის მეთაური.

ლ. დოლიძე
